ხელშეკრულება № 05/10/2016-ა
მომსახურება ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვაზე

ქ. თბილისი 05 ოქტომბერი, 2016 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **"ფინანსური მართვის ჯგუფი"**-ს (შემდგომში წოდებული როგორც "შემსრულებელი") სახელით მმართველმა პარტნიორმა ვლადიმერ ჩიტაიამ, ერთის მხრივ, და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **საფეხბურთო კლუბი "ზუგდიდი"**-ს (შემდგომში წოდებული როგორც "დამკვეთი") სახელით ვიცეპრეზიდენტი ლევან გულორდავა, მეორეს მხრივ, დადეს წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "დამკვეთი" ავალებს, ხოლო "შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს "დამკვეთს" მომსახურება, კერძოდ 2016 წლის 9 თვის ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. "შემსრულებელი" ვალდებულია ჩაუტაროს "დამკვეთს" 2016 წლის 1 იანვრიდან ა/წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდზე ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების მიმოხილვა და გაუწიოს "დამკვეთს" მის საქმიანობასთან დაკავშირებული კონსულტაციები.

2.2. "დამკვეთი" ვალდებულია უზრუნველყოს "შემსრულებელი" სათანადო სამუშაო პირობებით და მისცეს მას უფლება სრულად და შეუზღუდავად გაეცნოს "დამკვეთის" მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტაციას, აგრეთვე, შემოსულ და გასულ კორესპონდენციას.

2.3. "შემსრულებელი" ვალდებულია საჭიროებისამებრ წარუდგინოს "დამკვეთს" კონფიდენციალური შინაარსის წერილები ან მოხსენებითი ბარათები მიმდინარე პერიოდში არსებული საბუღალტრო, საგადასახადო ან ორგანიზაციული ხასიათის პრობლემების ან/და ამოცანების შესახებ და გაუწიოს კონსულტაციები მათი აღმოფხვრისათვის (გადაწყვეტისათვის).

2.4. "შემსრულებლის" მიერ "დამკვეთისადმი" გაწეული კონსულტაციები წარმოადგენენ "შემსრულებლის" ინტელექტუალურ საკუთრებას. "დამკვეთს" არა აქვს უფლება გამოიყენოს ისინი სხვა პირების სასარგებლოდ.

2.5. "შემსრულებელი" პასუხისმგებელია მის მიერ "დამკვეთისადმი" წარდგენილი აუდიტორული დასკვნის უტყუარობაში.

2.6. "დამკვეთი" ვალდებულია დროულად და სრულად აუნაზღაუროს "შემსრულებელს" გაწეული მომსახურების საფასური (მათ შორის უარყოფითი აუდიტორული დასკვნის წარდგენის შემთხვევაშიც).

2.7. "შემსრულებელს" უფლება აქვს შეწყვიტოს მომსახურების გაწევა "დამკვეთის" მხრიდან არაკანონიერი მოთხოვნების შემთხვევაში.

3. ფასები და ანგარიშსწორება

3.1. "შემსრულებლის" მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებაა 3540 (სამიათასხუთასორმოცი) ლარი **დღგ**-ის ჩათვლით.

3.2. "შემსრულებელი" წარუდგენს "დამკვეთს" მომსახურების დამთავრებისთანავე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას, რომელიც წარმოადგენს ანგარიშსწორების საფუძველს.

3.3. ცალკეულ შემთხვევებში, თუ "დამკვეთის" მიზეზით ადგილი ექნება "შემსრულებლის" ზენორმატიულ დატვირთვას ან "შემსრულებლის" მიერ "დამკვეთის" ხარჯების ანაზღაურებას, "დამკვეთი" მას უხდის დამატებით საზღაურს, რომლის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა სიტყვიერი შეთანხმებით და აისახება შესაბამისი პერიოდის ანგარიშ-ფაქტურაში.

3.4. "დამკვეთის" მიერ აუდიტორული მომსახურების საფასურის გადახდა ხდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიღებიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, ან ურთიერთჩათვლებით. შესაძლებელია, აგრეთვე, მომსახურების საფასური გადახდილი იქნეს ავანსად.

4. დამატებითი პირობები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 01 დეკემბრამდე.

4.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან დამატება ხდება მხარეთა შორის წერილობით გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4.3. მხარეები არ აგებენ პასუხს მათ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან არასათანადოდ შესრულებისათვის, თუ ეს დარღვევა ან არასათანადოდ შესრულება განპირო-ბებული იყო ფორს-მაჟორული გარემოებებით (ომი, გაფიცვები, სტიქიური უბედურება, სამთავრობო გადაწყვეტილებები და სხვა ანალოგიური მოვლენები).

4.4. მხარეთა შორის წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა ხდება სასამართლო წესით.

5. მხარეთა იურიდიული და საბანკო რეკვიზიტები

შპს "ფინანსური მართვის ჯგუფი"
ქ. თბილისი, დოლიძის ქ. № 2
ტელ. 236-33-11, 234-
საიდენტიფიკაციო №205279660
სერტიფიკატი ზოგად აუდიტში ზ № 6/097.
ა/ა **GE47TB7808836020100004**
სს "თიბისი ბანკი" კოდი **TBCBGE22**

"შემსრულებლის" სახელით

_____ ვ. ჩიტაია

შპს საფეხბურთო კლუბი
ქ. ზუგდიდი, მცხეთის ქ
საიდენტიფიკაციო №220370738
ანგ:**GE24LB0113192119822002**
ბანკის კოდი: **LBRTGE22**

"დამკვეთის" სახელით

_____ ლ. გულორდავა